საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №232

2017 წლის 6 ივლისი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმIII, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბიუჯეტის განმკარგველი – 778 – ა(ა)იპ „ვანის სკოლისგარეშე სასპორტო და სახელოვნებო დაწესებულებების გაერთიანება“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

778	4418	ა(ა)იპ – ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი

2. ბიუჯეტის განმკარგველის – 1382 – ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1383	5023	ა(ა)იპ „ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი“
1384	5024	აჭარის ა/რ „ა(ა)იპ – აგროპროექტების მართვის ცენტრი“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**